შესყიდვის საგანი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისების პროგრამის" „სასკოლო კონკურსების ქვეპროგრამის" დაფინანსების ფარგლებში, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 2013-2014 აკადემიური წლის მდგომარეობით VII-XII კლასის მოსწავლეებისათვის ინფორმატიკის ეროვნულ დონეზე კონკურსის ჩატარებისა და ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღების მიზნით, საქართველოს ნაკრები გუნდის დაკომპლექტების მომსახურების შესყიდვა.

მომსახურების გაწევის ადგილი - საქართველო.

მომსახურების ვადა: ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 40 კალენდარული დღის განმავლობაში.

ტექნიკური დავალება მოიცავს შემდეგს:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 2013-2014 აკადემიური წლის მდგომარეობით VII-XII კლასის მოსწავლეებისათვის ინფორმატიკაში ორეტაპიანი (ერთი დაუსწრებელი და ერთი დასწრებული ეტაპი) კონკურსის ჩატარება და ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადისთვის (IOI) საქართველოს ნაკრები გუნდის დაკომპლექტება (4 ძირითადი წევრი და 4 რეზერვისტი).

აღნიშნული აქტივობების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. **ეროვნულ დონეზე ინფორმატიკის კონკურსის ორგანიზება**

1.1. კონკურსის მონაწილეები

ინფორმატიკის კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ საქართველოს საჯარო ან კერძო სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც 2013-2014 სასწავლო წლის მდგომარეობით იმყოფებიან მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასებში.

1.2. მონაცემთა ბაზა

მიმწოდებელი ვალდებულია, კონკურსში (ყველა ეტაპზე) მონაწილე მოსწავლეების მონაცემებისა და კონკურსში მიღებული შედეგების საფუძველზე, შექმნას მონაცემთა ელექტრონული ბაზა. ელექტრონულ ბაზაში უნდა დაფიქსირდეს შემდეგი ინფორმაცია: მოსწავლის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, ქალაქი/რაიონი, სკოლა და კლასი, თითოეულ ეტაპზე მიღებული ქულა.

1.3. ამოცანების ბანკი

მიმწოდებელი ვალდებულია შექმნას ამოცანების ბანკი, სადაც თავმოყრილი იქნება კონკურსში გამოსაყენებელი დავალებები, საიდანაც ორგანიზაციის მიერ დაქირავებული ექსპერტები კონკურსის თითოეული ეტაპისთვის შეარჩევენ შესაბამის ამოცანებს.

1.4. კონკურსის ჩატარების ფორმატი

კონკურსი უნდა ჩატარდეს ორ ეტაპად 3 ასაკობრივ კატეგორიაში: I ასაკობრივი კატეგორიაა 7-8 კლასები, II ასაკობრივი კატეგორიაა 9-10 კლასები, III ასაკობრივი კატეგორიაა 11-12 კლასები. პირველი

ეტაპი უნდა იყოს დაუსწრებელი ფორმატის, ხოლო მეორე- დასწრებული. მეორე დასწრებულ ეტაპზე I და II ასაკობრივი ჯგუფისთვის უნდა ჩატარდეს ერთი ტური, ხოლო III ასაკობრივი ჯგუფისთვის 2 დასწრებული ტური.

ოლიმპიადის ჩატარების კონკრეტულ ვადებს განსაზღვრავს მიმწოდებელი ორგანიზაცია. ვადების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს არასაგაკვეთილო დღეები/საათები.

დასწრებული ეტაპის მიმდინარეობას უნდა აკვირდებოდნენ დამკვირვებლები.
მიმწოდებელი ვალდებულია, რომ დასწრებული ეტაპის ჩატარების ადგილის განსაზღვრისას გათვალისწინებული იყოს უსაფრთხო გარემო.

მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს კონკურსის ჩატარებისთვის საჭირო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მეორე ეტაპის (დასწრებული) მიმდინარეობისას მონაწილეები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ მსუბუქი კვებით (მინერალური გაზიანი წყალი, ტკბილი გაზიანი წყალი, რძიანი შოკოლადი, არანაკლებ 100 გრამიანი ბუტერბროდი).

1.5. საკონკურსო ამოცანები

პირველი და მეორე ეტაპის ამოცანები მოსწავლისგან უნდა მოითხოვდეს ალგორითმიზაციის საფუძვლების და პროგრამული კოდის შედგენის ცოდნას.

საკონკურსო ამოცანების შერჩევის და ეტაპების ჩატარების პროცესის ავტომატიზაციის მიზნით, მიმწოდებელმა უნდა დაიქირავოს ექსპერტები რომლებსაც ექნებათ ინფორმატიკის ეროვნული და/ან საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის გამოცდილება. ასევე ექსპერტთა ჯგუფში უნდა შედიოდეს ერთი წევრი მაინც, ვისაც აქვს ავტომატიზებული შემფასებელი სისტემის მომზადებისა და ექსპლუატაციის გამოცდილება. მონაწილეთა ნაშრომების შეფასება როგორც დასწრებულ ისე დაუსწრებელ ტურებზე უნდა მოხდეს ავტომატიზებული მატესტირებელი პროგრამით.

1.6. *გამარჯვებულების გამოვლენა*

პირველი ეტაპის გამარჯვებულად ჩაითვლება მოსწავლე, რომელმაც, შესაბამის ასაკობრივ კატეგორიაში, მოაგროვა მაქსიმალური ქულის 50% და მეტი;

კონკურსის საბოლოო გამარჯვებულად ჩაითვლება მონაწილე, რომელმაც მეორე ეტაპზე, შესაბამის ასაკობრივ კატეგორიაში, მოაგროვა მაქსიმალური ქულის 60% და მეტი და მოხვდა რანჟირებული სიის ათეულში. ქულათა თანხვედრის შემთხვევაში რანჟირებული სიის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს პირველი ეტაპის შედეგი, თუ ამ შემთხვევაშიც დაფიქსირდება თანხვედრა, გათვალისწინებული უნდა იყოს მეორე ეტაპზე მონაწილის მიერ ამოცანების ამოხსნაზე დახარჯული დროის ჯამური ხანგრძლივობა.

კონკურსის შედეგად მიმწოდებელმა დამკვეთს უნდა წარმოუდგინოს თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში გამოვლენილი საუკეთესო ათეულები.

კონკურსანტებს უნდა მიეცეთ შედეგების აპელაციის შესაძლებლობა, რომლის ვადებს და პირობებს განსაზღვრავს მიმწოდებელი ორგანიზაცია.

კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოების პირობებს განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

2. ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადისთვის საქართველოს ნაკრები გუნდის დაკომპლექტება

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს ნაკრები გუნდის დაკომპლექტება ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაში (IOI) მონაწილეობის მისაღებად. გუნდი უნდა შედგებოდეს 4 ძირითადი და 4 სარეზერვო წევრისგან.

შესარჩევ ტურებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

ა) მოსწავლეებს, რომლებმაც მე-11 და მე-12 კლასების ინფორმატიკის ზემოაღნიშნულ კონკურსში დაიკავეს 1-10 ადგილი და დააგროვეს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 1/3-ისა;

ბ) მოსწავლეებს, რომლებმაც მე-9 და მე-10 კლასების ინფორმატიკის ზემოაღნიშნულ კონკურსში დაიკავეს 1-10 ადგილი და დააგროვეს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 1/3-ისა;

გ) მოსწავლეებს, რომლებმაც მე-7 და მე-8 კლასების ინფორმატიკის ზემოაღნიშნულ კონკურსში დაიკავეს 1-10 ადგილი და დააგროვეს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 1/3-ისა;

ნაკრების წევრთა შერჩევა უნდა მოხდეს ორ ტურად. ყოველ ტურზე ინფორმატიკის ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატებს უნდა მიეცეთ სამი ამოცანა, სულ 6 ამოცანა. რომელთა ამოხსნისათვის კანდიდატებმა უნდა შეადგინონ პროგრამა (ე.წ. კომპიუტერული კოდი).

თითოეულ შესარჩევ ტურში მონაწილეებს ამოცანების ამოსახსნელად უნდა მიეცეთ 5 (ხუთი) ასტრონომიული საათი.

მოსწავლეთა შედგენილი პროგრამები უნდა შემოწმდეს წინასწარ მომზადებული ტესტებით (ავტომატიზებული მატესტირებელი პროგრამები), რომლებიც ამოწმებენ რამდენად სწორად შეადგინა კონკურსანტმა ამოცანის ამოსახსნელი კომპიუტერული კოდი (პროგრამა).

ინფორმატიკაში ნაკრები გუნდის საბოლოო შემადგენლობა დადგინდება პირველი და მე-2 ტურში მიღებული ქულათა საერთო ჯამის მიხედვით. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს საპრეტენზიო განაცხადების განხილვის შედეგად ქულებში მიღებული ცვლილებები.

ინფორმატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები იქნებიან ის მოსწავლეები, რომლებიც რეიტინგული სიის მიხედვით დაიკავებენ პირველიდან მე-4 ადგილებს. შესარჩევ ტურებში თანაბარი ქულების მიღების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ამოცანების ამოხსნისთვის დახარჯული ჯამური დროის სიმცირეს.

რეიტინგულ სიაში მომდევნო ოთხი მოსწავლე გახდება ინფორმატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდის რეზერვისტი. იმ შემთხვევაში, თუ რეზერვისტებს შორის არიან მე-12 კლასელები, წვრთვნას მათ ნაცვლად გაივლიან რეზერვისტებს შორის არმოხვედრილი რეიტინგული სიის მომდევნო უმცროს კლასელები.

შესარჩევი ტურების ჩატარების პროცესში მიმწოდებელმა, ამოცანებისა და ავტომატიზებული მატესტირებელი პროგრამის მომზადების, შესარჩევი ტურების ჩატარების, აპელაციების არსებობის შემთხვევაში საპრეტენზიო განაცხადების განხილვისა და ნაკრების წევრთა და რეზერვისტების საბოლოო რეიტინგული სიის დადგენის პროცესში უნდა ჩართოს ინფორმატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდის ლიდერი, თანალიდერი და ასისტენტი (მათ შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა მოხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან).

მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს კონკურსის ჩატარებისთვის საჭირო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მონაწილეთა კვება, (მინერალური გაზიანი წყალი, ტკბილი გაზიანი წყალი, რძიანი შოკოლადი, არანაკლებ 100 გრამიანი ბუტერბროდი) .

შესარჩევ ტურებში მონაწილე მოსწავლეები უზურნველყოფილი უნდა იყვნენ მსუბუქი კვებით და შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური ბაზით.

ანგარიშგება

მიმწოდებელმა ზემოაღნიშნული კონკურსების თითოეული ტურის დასრულებისთანავე დამკვეთს უნდა წარმოუდგინოს წერილობითი ანგარიში (თითოული ასაკობრივი კატეგორიისთვის გაცემული დავალებების ნიმუშები, ტურებში მონაწილე მოსწავლეების მონაცემთა ბაზა და მიღწეული შედეგები). ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასრულების შემდეგ მიმწოდებელმა წერილობით უნდა წარმოადგინოს საბოლოო ანგარიში.